



საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი  
თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან

2016 წელი

# შინაარსი

## 1. წინასიტყვაობა

## 2. ფისკალური პოლიტიკა და დისციპლინა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

## 3. ფისკალური პოლიტიკა და დისციპლინა საქართველოში

3.1 საჯარო ფინანსების რეფორმა, საბიუჯეტო პროცესი და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)

*3.1.1 საჯარო ფინანსების რეფორმა*

*3.1.2 ფისკალური პოლიტიკა*

*3.1.2.1 ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში*

*3.1.2.2 საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო კოდექსი*

*3.1.2.3 ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)*

*3.1.2.4 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადება*

*3.1.2.5 ნაერთი ბიუჯეტი, სხვადასხვა დონის ბიუჯეტები, ბიუჯეტის ბალანსი და დეფიციტის დაფინანსების წყაროები*

*3.1.2.6 ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში*

*3.1.2.7 ფისკალური ინსტიტუტები*

## 4. ფისკალური პოლიტიკის გასაძლიერებლად დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებები ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით

## 1. წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი შეესაბამება ევროკავშირის PFM III მატრიცის ფარგლებში 2016 წლის პირველ კვარტალში მეორე ტრანშის ვალდებულების შესრულებას. ამ მიზნით, დოკუმენტი იყოფა 2 ნაწილად:

პირველ ნაწილში აღწერილია საქართველოს ფისკალური პოლიტიკა ევროკავშირის ფისკალურ პოლიტიკასთან მიმართებაში;

მეორე ნაწილი აღწერს საქართველოს ძირითად საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივას ევროკავშირის ფისკალურ პოლიტიკასთან დაახლოებასთან მიმართებაში.

დოკუმენტი ასახავს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სამომავლო გეგმებს.

## 2. ფისკალური პოლიტიკა და დისციპლინა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში<sup>1</sup>

ფისკალური ჩარჩო შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინსტიტუციური პოლიტიკის შექმნა, რომელიც აყალიბებს ფისკალურ პოლიტიკას ეროვნულ დონეზე. იგი აერთიანებს გარკვეულ ღონისძიებებს, პროცედურებს და საბიუჯეტო პოლიტიკის დაგეგმვისა და დანერგვაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს. შიდა ფისკალური ჩარჩოს ძირითადი კომპონენტებია:

### ძირითადი ფისკალური წესები:

- ✓ დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტები (მაგ: სპეციალური საჯარო უწყებები, რომლებიც საბიუჯეტო პოლიტიკის საკითხებზე მუშაობენ);
- ✓ საბიუჯეტო პროცედურები, რის მიხედვითაც ხორციელდება ბიუჯეტის მომზადება, დამტკიცება და დანერგვა;
- ✓ ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა (MTBF-Medium Term Budget Framework) მრავალწლიანი საბიუჯეტო დაგეგმვისთვის გამოიყოფა ცალკე, როგორც ფისკალური პოლიტიკის საშუალოვადიანი დაგეგმვის მნიშვნელოვანი საფუძველი.

*ევროკავშირის ქვეყნების საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით არსებული პოლიტიკა სამ ძირითად მიზანს ემსახურება:*

<sup>1</sup> [http://ec.europa.eu/economy\\_finance/db\\_indicators/fiscal\\_governance/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/economy_finance/db_indicators/fiscal_governance/index_en.htm)

- ✓ ეფექტური საბიუჯეტო პოლიტიკა, დეფიციტის კონტროლი და არამდგრადი ფისკალური პოლიტიკის პრევენცია;
- ✓ ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის შემცირება;
- ✓ სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის გაზრდა.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად წესების დანერგვა მნიშვნელოვანია რათა შემცირდეს პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების მიერ პროციკლური პოლიტიკა, ფისკალური დაგეგმვა იყოს გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული და თავიდან იქნეს არიდებული მოკლევადიან შედეგებზე გათვლილი პოლიტიკა. ფისკალური მართვა მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის უკეთესი კოორდინაციის საშუალებას იძლევა.

ყველაზე გავრცელებული განმარტებით ფისკალური პოლიტიკის წესები ადგენს რაოდენობრივ სამიზნეებს. უფრო კონკრეტულად ეს წარმოადგენს ფისკალური პოლიტიკისთვის მუდმივ ერთგვარ წნეხს, რაც გამოიხატება ფისკალური შედეგების ინდიკატორებში, როგორცია დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, ხარჯების და შემოსავლების თანაბარდობა მშპ-თან და სხვა მსგავსი პარამეტრები.

ფისკალური წესების პირველადი დანიშნულებაა ფისკალური დისციპლინის გატარება. ის ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა ხელისუფლების დონეებს შორის პოლიტიკის უკეთეს კოორდინირებას. ფისკალური წესები გამოიყენება მომავალში ფისკალური პოლიტიკის განვითარების უკეთესი პროგნოზირებისა და გაუთვალისწინებელი მდგომარეობების თავიდან აცილებისთვის. თუმცა ფისკალური წესების პრაქტიკაში გატარება და შედეგის მოტანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შესაბამისი ინსტიტუტები, რომლებიც ახორციელებენ სათანადო მონიტორინგს და ქმნიან მათი განხორციელების ეფექტურ მექანიზმებს. ამისთვის აუცილებელია დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტები მხარდაჭერილი იყოს ძლიერი პოლიტიკური ვალდებულებებით.


ბიუჯეტის დეფიციტის, ფისკალური წესების ეფექტურობა და თუ რამდენად მკაცრად არის ის დაცული, დამოკიდებულია დიდწილად მის ინსტიტუციურ მოწყობაზე. ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროში გენერალურმა დირექტორატმა (DG ECFIN - Directorate General for Economic and Financial Affairs) შეიმუშავა ფისკალური წესის სიძლიერის ინდექსი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: წესის საკანონმდებლო საფუძველს, მიზნების დადგენის და გადახედვის თავისუფლების ხარისხს, ინსტიტუტებს რომლებიც პასუხისმგებელია წესების განხორციელების მონიტორინგზე, წესების გატარების მექანიზმებსა და მედიის მხრიდან წესების აღქმისა და დაფარვის ხარისხს (ფისკალური წესის ინდექსი იხილეთ დანართი №1 და №2).

ფისკალური წესის სიძლიერის ინდექსის საფუძველზე, თითოეულ წესთან მიმართებაში შეიქმნა კომპლექსური, დროში ცვალებადი ფისკალური წესის ინდექსი თითოეული წევრი ქვეყნისათვის, რომლითაც ხდება ფისკალური წესის სიძლიერის ყველა ინდექსის შეჯამება, რომელიც შეიწონება ერთიანი მთავრობის ფინანსების ამ წესით მოცვასთან (მაგ: მთავრობის ქვესექტორების ხარჯების, რომლებზეც ეს წესი ვრცელდება შეფარდება მთლიან ხარჯებთან). მთავრობის ერთი ქვესექტორის ერთზე მეტი წესით მოცვის შემთხვევაში მე-2, მე-3 და მე-4 წესები შეიწონება (1/2, 1/3, და 1/4), რათა ასახული იქნეს დამატებითი წესის კლებადი ზღვრული


სარგებელი. მინიჭებული წონა ძირითადად განისაზღვრება წესის ფისკალური სიძლიერით და მისი დაფარვით.

*ქვემოთ მოცემულია დიაგრამები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ფისკალური წესების ტიპების და ფისკალური წესის ინდექსის შესახებ:*


ფისკალური წესების რაოდენობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ტიპების მიხედვით (1990-2012)



ფისკალური წესების რაოდენობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ტიპების და მთავრობის სექტორების მიხედვით (2012)




ფისკალური წესის ინდექსი (Fiscal Rule Index-FRI) ევროკავშირის წევრი ქვეყნების შერჩეულ ჯგუფში, 1990- 2012წწ.






ფისკალური წესის ინდექსი (Fiscal Rule Index – FRI) ევროკავშირის წევს ქვეყნებში 2011-2012 წწ.



ფისკალური წესის ინდექსის (FRI) საშუალო მაჩვენებელი



დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტები ევროკავშირის ქვეყნებში განისაზღვრება, როგორც მიუკერძოებელი საჯარო ორგანოები, რომლებიც არ წარმოადგენენ არც ეროვნულ ბანკს, არც მთავრობას, არც პარლამენტს, ისინი ამზადებენ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს ბიუჯეტისთვის, მონიტორინგს უწევენ ფისკალური პარამეტრების შესრულებას, რეკომენდაციას აძლევენ მთავრობას ფისკალური პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ინსტიტუტები ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, თუმცა ფუნქციურად დამოუკიდებლები არიან მთავრობისგან. აუდიტის ინსტიტუტი შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას საბიუჯეტო მიზნებზე და ფისკალურ პარამეტრებზე იღებენ მთავრობის წევრები. აღნიშნული დამოუკიდებელი ინსტიტუტები პოზიტიურ ზეგავლენას ახდენენ ფისკალური პოლიტიკის შემუშავების პროცესში:

წლიური ბიუჯეტის მომზადების მიზნით ხარჯების ოპტიმალურად განსაზღვრით, როგორცაა მაკროეკონომიკური პროგნოზები, რასაც ეყრდნობა საბიუჯეტო პროგნოზები;

ფისკალური პოლიტიკის საკითხებზე დამოუკიდებელი ანალიზის მომზადებით. აღნიშნული შესაძლებელია მოიცავდეს საბიუჯეტო პროცესის განვითარების მონიტორინგს, არსებულ ფისკალურ წესებსა და/ან კონკრეტული პოლიტიკის ღონისძიებების სავარაუდო ხარჯებთან შესაბამისობის შეფასებას;

ფისკალური პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებთან მიმართებაში რეგულარული შეფასებებისა და რეკომენდაციების შემუშავებით, როგორცაა რეკომენდაციები დაკავშირებული გრძელვადიან, მდგრად საკითხებთან ან მთავრობის სხვადასხვა ფისკალურ მიზნებთან დაკავშირებული წინადადებები.

### **დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების დიზაინის მნიშვნელოვანი ელემენტები**

**მანდატი:** მანდატი უნდა იყოს ნათელი და არაორაზროვანი, კონკრეტული ამოცანებით და განსაზღვრული ღონისძიებების მიზნებით, გამყარებული ძლიერი სამართლებრივი დებულებებით. ამ კუთხით არსებითია შემდეგი მოსაზრებები:

მანდატი უნდა უზრუნველყოფდეს დასახული ამოცანების შესრულების რეგულარულ ხასიათს; პროგნოზები, ამოცანების მონიტორინგი და შეფასებები უნდა იყოს ყოვლისმომცველი და არ უნდა შემოიფარგლებოდეს ნაწილობრივი ასპექტებით.

მანდატი უნდა უზრუნველყოფდეს პროგნოზების/ამოცანების მონიტორინგს, ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული სტატისტიკის ოფისის, სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო დაწესებულებების მიერ წარმოებულ მონაცემებზე.

ფისკალურ ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს მანდატი უზრუნველყოს ფისკალური სამიზნე პარამეტრების და ფისკალური წესების დაცულობა, რომელიც მხარდაჭერილია შესაბამისი კანონმდებლობით.

**ფუნქციური დამოუკიდებლობა:** ავტონომიურობისა და ფუნქციური დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას იმისა, რომ დაწესებულების საქმიანობა არ ფერხდება პოლიტიკური ჩარევებით. ეს შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს შემდეგი პირობებით:

- ✓ სახელმწიფო დაფინანსება, რომელიც მხარდაჭერილია უმეტესწილად სამართლებრივი აქტებით.
- ✓ ინსტიტუტების წევრების და თანამშრომლების დამოუკიდებლობის ხარისხი, რაც უზრუნველყოფილია წარდგენის/დამტკიცების პროცედურების ობიექტურობით, რომელიც განსაზღვრავს ფუნქციურ დამოუკიდებლობას.

**ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში:** საბიუჯეტო პროცესში ჩართულობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ფისკალური პოლიტიკის მართვაზე გავლენის განსაზღვრისას. ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის მოწყობა ამტკიცებს, რომ ეს არის დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიერ შემუშავებული პოლიტიკის გზავნილების მიწოდების ეფექტური გზა. აღნიშნული, მათ შორის, გულისხმობს რეგულარულად ბიუჯეტის პროექტის მომზადების დროს საპარლამენტო მოსმენებს; მთავრობის რეკომენდაციებს საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით; ფისკალური ხელისუფლების ვალდებულებას გათვალისწინებული იქნეს ამ ინსტიტუტების პროგნოზები და რეკომენდაციები. ამ სქემის განსაკუთრებით კარგი მაგალითია, როდესაც ხდება მაკრო პროგნოზირების დელეგირება ასეთი საბჭოებისა თუ ინსტიტუტებისთვის. ბევრი ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ დამოუკიდებელი პროგნოზები განაპირობებს რეალისტური მაკროეკონომიკური სცენარების შემუშავებას, რომელიც გამოიყენება სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად და ამცირებს მთავრობის ოპტიმისტური მიდგომებით გამოწვეული განსხვავებების ალბათობას.

საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩო არის ფისკალური მოწყობა, რომელიც საშუალებას აძლევს მთავრობას გააფართოვოს ფისკალური პოლიტიკის ჰორიზონტი კონკრეტული საბიუჯეტო წლის შემდგომ პერიოდში. კარგად ჩამოყალიბებული ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა - MTBF ასახავს გასული საბიუჯეტო ვალდებულებებისა და ახალი პოლიტიკის ღონისძიებების მომავალი წლების ხარჯების ურთიერთკავშირს. ამასთან, წლიური ბიუჯეტის დამტკიცება კვლავ რჩება ძირითად ეტაპად, როდესაც ხდება საბიუჯეტო პოლიტიკის კუთხით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრისას მიღებულ გადაწყვეტილებებს უმეტეს შემთხვევაში გააჩნიათ შედეგები, რომელიც წლიურ საბიუჯეტო ციკლს სცდება და ერთწლიანი პერსპექტივა ვერ იქნება საფუძველი სწორი ფისკალური დაგეგმვისთვის. MTBF ჩვეულებრივ მოიცავს საშუალოვადიანი ბიუჯეტის (როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების) გეგმის მომზადებას, შესრულებას და მონიტორინგს.

ზოგადად, MTBF-ის ფარგლებში საშუალოვადიანი ბიუჯეტის მიზნები წარმოადგენს ვალდებულების სუსტ ფორმას, თუმცა აღნიშნული უზრუნველყოფს ფისკალური დისციპლინის მიმდინარე პოლიტიკის შედეგების მეტად სიცხადეს და მის შესაბამისობას მთავრობის საშუალოვადიან მიზნებთან. აგრეთვე, MTBF ხელს უწყობს მონიტორინგის

კრიტერიუმების შემუშავებას და საბიუჯეტო განვითარების ეტაპების სწორ შეფასებას დინამიკაში. საბოლოო ჯამში, კარგად შემუშავებული MTBF უნდა ასახავდეს გასული საბიუჯეტო ვალდებულებების გავლენას, ასევე მომავალში აღებულ ვალდებულებებსა და ახალი პოლიტიკის ღონისძიებების შედეგების კავშირს. საბოლოოდ, MTBF-ის გაძლიერება ხელს უწყობს ეფექტური ინსტიტუციური რეფორმების გატარებას, გადასახდელების დაგეგმვისა და ზოგადად ბიუჯეტირების პროცესის სრულყოფისათვის.

## **MTBF-ის დიზაინის ძირითადი ელემენტები**

**მოცვა:** MTBF იდეალურ შემთხვევაში უნდა მოიცავდეს მთლიან საჯარო სექტორს სამი ან ოთხწლიანი პერიოდისათვის. მნიშვნელოვანია საბიუჯეტო პროგნოზები დაყოფილი იყოს ქვესექტორებად.

**გადასახდელების ზღვრული მოცულობები:** ეფექტური MTBF უნდა განსაზღვრავდეს ზღვრულ პარამეტრებს (ე.წ. ჭერებს) სფეროების მიხედვით, რათა ბიუჯეტის საშუალოვადიანი გეგმები შესაბამებოდეს პოლიტიკის პრიორიტეტებს და საშუალოვადიან ფისკალურ გეგმებს.

**შემოსულობების პროგნოზები:** გადასახდელების პროგნოზები შესაბამისობაში უნდა იყოს შემოსულობების პროგნოზებთან, რომელიც დაფუძნებულია მაკროეკონომიკურ ვარაუდებზე. შემოსულობების პროგნოზები ძირითადი ტიპების მიხედვით ასევე უნდა იყოს ასახული პროგნოზში, იმისათვის, რომ ნაჩვენები იყოს საბიუჯეტო გავლენა საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებებზე.

**დადგენილი ფისკალური გზიდან გადახრის ანალიზი:** უნდა მოხდეს წინა წლის ფაქტიური საბიუჯეტო შედეგების შედარება MTBF-ით დაგეგმილ შედეგებთან. აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის განსხვავებები უნდა იყოს ახსნილი და დაზუსტებული. აგრეთვე, უნდა იყოს ახსნილი ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ფისკალური პროგნოზირების საშუალოვადიანი გზიდან გადახრების კომპენსირების მიზნით.

**მაკროეკონომიკური ვარაუდები:** პროგნოზირების საბაზო მონაცემები და წარმოდგენილი მაკროეკონომიკური ვარაუდები უნდა იყოს განხილული ალტერნატიული სცენარების სახით. აღნიშნული საბიუჯეტო პრიორიტეტების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, შემოსავლების შესრულების არაპროგნოზირებული ზრდის ან კლების შემთხვევაში, რამაც შესაძლებელია ხელი შეუწყოს ბიუჯეტების დამატებითი მოთხოვნების შემცირებას.

**ანგარიშგების სისტემა:** საკასო მეთოდით ფისკალური პროგნოზები და მათი ღირებულება, რომელიც ევროკავშირის ქვექნებში ეფუძნება ESA95 კონცეფციას უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული. მაშინ როდესაც საკასო მაჩვენებლები იძლევა დროდადრო მონიტორინგის შესაძლებლობას, ESA95-ის მონაცემები ზრდის გამჭვირვალობას და შესაძლებელია განისაზღვროს მიმდინარე საშუალოვადიანი ბიუჯეტის დაგეგმვის შესაბამისობა ფისკალურ მიზნებთან.


**წლიური ბიუჯეტის ასიგნებები:** საშუალოვადიანი გეგმით განსაზღვრული პროგნოზები და მიზნები ბიუჯეტის კანონის მომზადების საფუძველია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია

პარლამენტის როლის გაძლიერება. ფისკალური პოლიტიკის პროგნოზები, განსაკუთრებით გადასახდელების მიზნები, უნდა იყოს ოფიციალურად წარდგენილი, განხილული და დამტკიცებული პარლამენტში, წლიური ბიუჯეტის კანონის წარდგენამდე.


**დაზუსტების მექანიზმები და მონიტორინგი:** მონიტორინგის მექანიზმები უნდა განისაზღვროს შეფასებების სიხშირისა და იმ უწყებების გათვალისწინებით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან აღნიშნული შეფასებების და პროცედურების დაზუსტებაზე, ასევე ნათლად უნდა იყოს გათვალისწინებული ცდომილებები ფისკალური გეგმისგან. გამომდინარე იქიდან, რომ MTBF ეყრდნობა საშუალოვადიანი ხარჯვის წესებს, ეს მექანიზმი კავშირში უნდა იყოს გადასახდელების ზღვრული მოცულობების მონიტორინგის განხორციელებლებთან. ერთიდაიგივე ინსტიტუტი უნდა ახორციელებდეს მონიტორინგს და მიაღწიოს დასახული ამოცანების ფარგლებში ფისკალური ჩარჩოს შესრულებას, რაც ევალება დამოუკიდებელ ინსტიტუტს.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სხვადასხვა დროს (2006, 2008, 2009-2012) ჩატარდა კვლევები საშუალოვადიანი საბიუჯეტო გეგმების და მიმდინარე ბიუჯეტის პროცედურებზე სხვადასხვა სახის კითხვარების მეშვეობით. ინფორმაცია შეგროვდა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა საბიუჯეტო პროცესი, საშუალოვადიანი დაგეგმვა, ფინანსური მდგომარეობა, საშუალოვადიანი გეგმების კავშირი ბიუჯეტთან (ბიუჯეტების დამატება და დაზუსტება). აღნიშნული კვლევის საფუძველზე DG ECFIN-მა შეიმუშავა საშუალოვადიანი დაგეგმვის ხარისხის ინდექსი (MTBF ხარისხის ინდექსი) ხუთი კრიტერიუმის მიხედვით (დანართი №4)

*ქვემოთ მოცემულია დიაგრამები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში MTBF ინდექსის მაჩვენებლების შესახებ:*




MTBF ინდექსი ევროკავშირის ქვეყნებში (2011-2012)






### MTBF ინდექსის საშუალო მაჩვენებელი



MTBF ინდექსის საშუალო მაჩვენებელი (2012)



### 3. ფისკალური პოლიტიკა და დისციპლინა საქართველოში

#### 3.1 საჯარო ფინანსების რეფორმა, საბიუჯეტო პროცესი და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)

##### 3.1.1 საჯარო ფინანსების რეფორმა

საჯარო ფინანსების რეფორმა, რომელიც 2004 წლიდან დაიწყო გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან GFSM 2001 ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას. საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მიღებული ახალი რეგულაციების ასახვა მოხდა ახალ საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც მომზადდა და დამტკიცებულ იქნა 2009 წელს და ძალაშია 2010 წლიდან. საბიუჯეტო კოდექსმა თავისთავში გააერთიანა საბიუჯეტო სისტემასთან დაკავშირებული ყველა საკანონმდებლო აქტი, როგორც სახელმწიფო, ისე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის. საბიუჯეტო კოდექსით ასევე განისაზღვრა ეტაპობრივად პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის ვალდებულება, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 2012 წლიდან, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის 2013 წლიდან.

ბევრი გაკეთდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის (MTEF) დანერგვის კუთხით. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) ფორმატმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, მას შემდეგ რაც ის პირველად მომზადდა 2005 წელს. ახალი საბიუჯეტო კოდექსით საკანონმდებლო დონეზე გამყარდა კავშირი ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტსა და წლიური ბიუჯეტის კანონის დაგეგმვას შორის. დოკუმენტი ასახავს მთავრობის პრიორიტეტებს, გასული წლების და დასაგეგმი წლების მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზს და მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელ ძირითად ღონისძიებებს. თანდათანობით დოკუმენტში აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტები და ასევე ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით ყოველწლიურად ამზადებდა ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების 4 წლიან დოკუმენტს, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად. ეს დოკუმენტი ასახავდა სამინისტროების და სხვა მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ დაფინანსებას და მიზნებს. დოკუმენტი ადგენს ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრულ მოცულობებს მხარჯავი დაწესებულებებისთვის. შედეგად BDD დოკუმენტი წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის პროექტის ერთგვარ ჩარჩოს და იმ პაკეტის ნაწილს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს, ხოლო მისი საბოლოო ვარიანტი

მიეწოდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს დასაგეგმი წლის იანვრის თვეში.

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამულ ფორმატზე გადასვლიდან გამომდინარე 2012-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი მომზადდა განსხვავებული ფორმატით, რათა იგი შესაბამისობაში ყოფილიყო პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს პირველ ბიუჯეტს, რომელიც მთლიანად პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით მომზადდა. იმისთვის, რომ აღნიშნული შესაძლებელი ყოფილიყო, მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. მომზადდა „პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 მარტის N 284 განკარგულება, რომლითაც განისაზღვრა 2010, 2011 და 2012 წლებში გასატარებელი ღონისძიებები პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის მიზნით. 2009 და 2010 წლებში მუშაობა მიმდინარეობდა პილოტ სამინისტროებთან, რომელთაც მოამზადეს პროგრამული ფორმატის ბიუჯეტები ტრადიციულ, ორგანიზაციულ ბიუჯეტებთან ერთად. 2011 წლის პილოტური ბიუჯეტები 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ბოლო პროექტთან ერთად წარედგინა საქართველოს პარლამენტს 2010 წლის დეკემბერში.

შემუშავდა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, რომელიც მომზადდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების, სხვა ქვეყნების მაგალითების, პილოტი სამინისტროების გამოცდილების და სამუშაო ჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით. მეთოდოლოგიით განისაზღვრა პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შედგენის ინსტრუქციები და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმატი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავმა დაწესებულებებმა 2011 წლის 1 სექტემბრამდე წარმოადგინეს საბიუჯეტო განაცხადები, პირველად პროგრამული ფორმატით. საბიუჯეტო განაცხადების ფორმების გადამუშავება მოხდა სპეციალურად პროგრამული ბიუჯეტისთვის და ის ხელმისაწვდომი გახდა მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (E-Budget) მეშვეობით. ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა (E-Budget) წარმოადგენს საბიუჯეტო რეფორმის კიდევ ერთ კომპონენტს. ეს არის სპეციალური პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მხარჯავი დაწესებულების საფინანსო დეპარტამენტების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის და საშუალებას აძლევს მხარჯავ დაწესებულებებს მართონ საბიუჯეტო რესურსები ეფექტურად და მოსახერხებლად და მინიმუმამდე დაიყვანონ ბიუროკრატიული პროცედურები.

მხარჯავმა დაწესებულებებმა საბიუჯეტო განაცხადები მოამზადეს საბიუჯეტო კოდექსის და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით. საბიუჯეტო განაცხადების წარდგენის შემდგომ ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა ბიუჯეტის პროექტი მთლიანად

პროგრამული ფორმატით. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და მისი დანართები პირველად მოიცავდა სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებს, ამ პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერებს, მათ დაფინანსებას საშუალოვადიან პერიოდში, მოსალოდნელ შედეგებს და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებს, ასევე ინფორმაციას პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებლების და კაპიტალური პროექტების შესახებ.

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში განხორციელებული რეფორმებიდან გამომდინარე განხორციელდა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში ცვლილებები, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და გადახდების განხორციელების წესის ახალი ინსტრუქცია. მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა პროგრამული ბიუჯეტის დანერგვასთან დაკავშირებით, ცვლილებები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონებიდან გამომდინარე მომზადდა/ცვლილებები შევიდა შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში.

2015 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოდოლოგია, უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევნენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმებიდან, სექტორული სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებს უფრო ფართო მაჩვენებლების სისტემას: თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა, შესაძლო რისკები. აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით თუ სხვადასხვა სექტორულ სტრატეგიებით განსაზღვრული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები და მათი ბიუჯეტები ასახული იქნეს შესაბამისი წლის წლიური ბიუჯეტის კანონში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში. მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენის პროცედურები და მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და როგორ უნდა მოხდეს თითოეული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინფორმაციის მომზადება, როგორ უნდა მოხდეს ხარჯთაღრიცხვების მომზადება სხვადასხვა ტიპის პროგრამებისთვის: მართვისა და რეგულირების, მომსახურების მიწოდების, სუბსიდირების, ინფრასტრუქტურული/კაპიტალური.

2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდა განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. ამასთან, 2015 წლის განმავლობაში საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები განახლებული ფორმატით პილოტურად მომზადდა ხუთი სამინისტროს

მიერ. 2016 წელს ყველა სამინისტრომ განაახლა თავიანთი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. 2016 წლის განმავლობაში განსაკუთრებულად აქტიურად მიმდინარეობდა შეხვედრები ყველა სამინისტროსთან განხილულ იქნა მათ მიერ მომზადებული 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და პროგრამული ბიუჯეტის მომზადებასთან დაკავშირებული სირთულეები და არსებული გამოწვევები. შედეგად სამინისტროების მიერ დამტკიცდა გადამუშავებული სამოქმედო გეგმები, რომელსაც ახლავს ხარჯთაღრიცხვები.

PEFA-ს 2012 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი საბიუჯეტო და ფინანსური მართვის სისტემები წინა 2008 წლის შეფასებასთან შედარებით. ბიუჯეტის სტრატეგიული დაგეგმვის, ბიუჯეტის ფორმულირებისა და აღსრულებისთვის დაინერგა სისტემების ერთობლიობა. ძირითადი მოდულები ინტეგრირებულია საჯარო ფინანსების მართვის სისტემებში (PFMS). ფუნქციონირებს ბიუჯეტის მომზადებისა და შესრულების მდგრადი სისტემა. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული პროგრამული ბიუჯეტირების კუთხით.

დაიხვეწა სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი ბაზა. დანერგილია ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვები (E-GP), ინტეგრირებულია ხაზინის ერთიან ელექტრონულ სისტემასთან, რაც უზრუნველყოფს სრულყოფილი და გამჭვირვალე ინფორმაციის არსებობას.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კანონში განხორციელდა ცვლილებები საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით.

PEFA-ს მეთოდოლოგიის მიხედვით საჯაროდ ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია: 1) წლიური ბიუჯეტის შესახებ დოკუმენტაცია, 2) ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები, 3) წლიური ანგარიშგები, 4) გარე აუდიტის ანგარიშები, 5) დადებული ხელშეკრულებები.

ევროკავშირის ანგარიშში (ივლისი 2014) აღნიშნულია, რომ საქართველომ უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წინსვლას საბიუჯეტო და ფინანსური მართვის მიმართულებით. საბიუჯეტო კლასიფიკაციის სისტემა მოიცავს, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და ფუნქციონალურ კლასიფიკაციას, ასევე პროგრამულ კლასიფიკაციას და შეესაბამება GFSM 2001 საერთაშორისო სტანდარტს. დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები/პროექტები ასახულია ბიუჯეტში. ფუნქციონირებს სტრატეგიული ბიუჯეტის დაგეგმვის, ბიუჯეტის ფორმულირებისა და აღსრულების ძირითადი სისტემები. მთავრობის მიერ მიღებული საბიუჯეტო პროცესის დანერგილი საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა არის კარგად განვითარებული, მათ შორის ბიუჯეტის მომზადების, ადეკვატური ანგარიშების, აღრიცხვისა და ანგარიშგების და ადეკვატური კონტროლის ძლიერი სისტემები.

გატარებული რეფორმების შედეგად ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015“ (Open Budget Survey 2015) შედეგებით, საქართველომ 66 ქულით მე-16 ადგილი დაიჭირა მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის, რითაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები 2012 წლის

ანალოგიურ კვლევასთან შედარები (2012 წლის ინდექსის თანახმად 33-ე ადგილს იკავებდა, 55 ქულით) და საქართველო მოექცა მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნებს შორის.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და ღია ბიუჯეტის ინდექსის შედეგის გაუმჯობესების მიზნით 2016 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადდა 2016 წლის შუალედური მიმოხილვის დოკუმენტი (Mid-Year Review) და თან დაერთო შესრულების ანგარიშს. აღნიშნული დოკუმენტის მომზადებით ღია ბიუჯეტის კვლევის პირველ ნაწილში საბიუჯეტო დოკუმენტაციის საჯაროობის და გამჭვირვალობის მიმართულებით უკვე ყველა დოკუმენტი მზადდება და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) ერთად მომზადდა ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზი (2016-2020), რომელიც ასახულია ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი დანართის სახით თან ერთვის 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს.<sup>3</sup>

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად ვებ-გვერდზე აქვეყნებს შესაბამისი წლის ბიუჯეტის შესახებ მოკლე სახელმძღვანელოს - „მოქალაქის გზამკვლევი“, რომელიც წარმოდგენას უქმნის საქართველოს მოქალაქეებს, თუ როგორ განკარგავს სახელმწიფო გადასახადების და სხვა შემოსავლებით მობილიზებულ სახსრებს.

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტები - „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017“, რომელშიც „ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“, „ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, „საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ კონსოლიდირებულ იქნა ერთიან სამოქმედო გეგმაში.

2014-2017 წლების საჯარო ფინანსების მართვის (PFM) პოლიტიკის რეფორმის სტრატეგია და სახელმწიფო აუდიტის სტრატეგია 2014-2017 მიღებული იქნა და ყოველწლიურად მტკიცდება შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ყველა დონის ბიუჯეტის და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის სრულყოფილად მოქცევა ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნულის განსახორციელებლად მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა, საკითხი განხილული იქნა საქართველოს ეროვნულ ბანკთან. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ

<sup>2</sup> <http://www.internationalbudget.org/wp-content/uploads/OBS2015-OBI-Rankings-English.pdf>

<sup>3</sup> [http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/III\\_wardgena/SFR-2016-Total-bind.pdf](http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/III_wardgena/SFR-2016-Total-bind.pdf)

განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის შესაბამისი მოდულების განახლება და 2015 წლის 1 იანვრიდან ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოქცევა, ყველა დონის ბიუჯეტის და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტი სრულად, როგორც დაგეგმვის, ისე აღსრულების ეტაპზე. რეფორმის შედეგად გაფართოვდა საბიუჯეტო ორგანიზაციის ტერმინის ქვეშ გათვალისწინებული დაწესებულებების წრე და საბიუჯეტო კოდექსის რეგულირების სფერო ვრცელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებულ ან/და მათ მიმართ ანგარიშვალდებულ/კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა იურიდიული პირზე (გარდა სამეწარმეო სტატუსის მქონე იურიდიული პირებისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა). აღნიშნული საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობის მიღწევას უწყობს ხელს.

ფისკალურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საქართველოს პარლამენტის ვებგვერდებზე. საქართველოს ეროვნული ბანკი და საქსტატი აქვეყნებს ამომწურავ ფისკალურ ინფორმაციას, მათ შორის საგარეო ვალის ყოველთვიურ სტატისტიკას; ბიუჯეტის დაგეგმვის და ანგარიშგების შესახებ ინფორმაცია მოიცავს დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ნაწილს. საბიუჯეტო კლასიფიკაცია და ანგარიშგების სისტემა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

ბიუჯეტის ფორმატი და წარდგენის პროცედურები საგრძნობლად გაუმჯობესდა, შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის, საშუალოვადიანი პერსპექტივის და სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტს კავშირების არსებობის მხრივ საჭირო ნაბიჯები გადაიდგა.

2012 წლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტი ცალკე დანართში მოიცავს ინფორმაციას საინვესტიციო პროექტების შესახებ საშუალოვადიან პერიოდში.

საშუალოვადიანი დაგეგმვის ჩარჩო - MTEF შემუშავდა სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე 2007 წლიდან და მათ შორის, მოიცავს გადასახდელების განაწილებას და საბიუჯეტო ჭერებს - ზღვრულ მოცულობებს.

მომზადდა ინფორმაცია ფისკალური რისკების, ასევე 2015 წელს მაკროეკონომიკურ და ვალთან დაკავშირებული რისკებზე.

მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო ბანკის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილება),<sup>4</sup> რომელიც ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავებას, განსაზღვრავს მათი მართვის წესებს და პროცედურებს, მონაწილე მხარეების როლებსა და პასუხისმგებლობებს საინვესტიციო პროექტების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის (პროექტების წინასწარი შერჩევა, პროექტის შეფასება, პროექტის შერჩევა/ბიუჯეტის შედგენა, პროექტის განხორციელება, პროექტის მონიტორინგი და პროექტის შესრულების შემდგომი შეფასება); აღნიშნული გზამკვლევის საფუძველზე მომზადდა და საქართველოს ფინანსთა

<sup>4</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3265745>



მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა საინვესტიციო პროექტების მართვის დეტალური მეთოდოლოგია და გახდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ნაწილი (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის №165 ბრძანება).<sup>5</sup>

### 3.1.2 ფისკალური პოლიტიკა

#### 3.1.2.1 ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში

საჯარო ფინანსების მართვის ინსტიტუტები და ამ სფეროში არსებული დისციპლინა განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საბიუჯეტო კოდექსით და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა სწრაფი და ჯანსაღი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებით მთავრობა იღებს ვალდებულებას განახორციელოს სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა გარე რისკების დასაძლევად, გაატაროს სტრუქტურული რეფორმები მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ფისკალური პასუხისმგებლობის მქონე მთავრობის რეპუტაციის შესანარჩუნებლად. საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება, რომ „ხანგრძლივი, სტაბილური ეკონომიკური ზრდის ფუძემდებლური პრინციპები დგინდება ორგანული კანონით. მაკროეკონომიკური პარამეტრების დადგენილი ზღვრების დარღვევისა და განსაკუთრებული აუცილებლობის დროს ზღვრებისგან გადაცდენის შემთხვევები, ასევე, პარამეტრების ზღვრებთან დაბრუნების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები განისაზღვრება ორგანული კანონით“.

2011 წელს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომლითაც დადგენილია ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები. ამ კანონით სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობას და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას. თავისუფლება არის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც გამოიხატება მთავრობის მცირე ზომით, პასუხისმგებლობიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და დაბალ გადასახადებში.

ეკონომიკის გრძელვადიანი და სტაბილური ზრდის საშუალებით კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და ყოველი შემდგომი თაობისათვის სამართავად შემცირებული ფინანსური ვალდებულებების მქონე ქვეყნის გადაცემის ხელშეწყობის მიზნით დგინდება მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:

<sup>5</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3348189>

**გადასახდელები** - ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 30%;

**ბალანსი** - ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 3%;

**სახელმწიფო ვალი** - სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 60%.

**შემოსავლების წესი** - ორგანული კანონი კრძალავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას, გარდა აქციზისა (აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით).

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ შეესაბამება კანონით დადგენილ ზღვარს ან ზღვრებს საქართველოს მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს შემდგომი ორი წლის ბიუჯეტების პარამეტრები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ პერიოდში დადგენილ ზღვრებში დაბრუნების გეგმას.

საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული ზღვრის ან/და ზღვრების შეუსაბამო ბიუჯეტის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის ბიუჯეტი ამ ზღვრის/ზღვრების შესაბამისი იყო, გარდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა ან/და ეკონომიკური რეცესიისა.

გარდა კანონით განსაზღვრული ზოგადი ჩარჩო პარამეტრებისა საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების განსაზღვრას. პარამეტრების შეთანხმება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა ფონდთან აქტიური პროგრამა) და გაითვალისწინება სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების პროგნოზები.

საშუალოვადიანი პერიოდისათვის ფისკალური პარამეტრების დადგენა ეფუძნება როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგად წესებს, ისე ქვეყანაში და რეგიონში არსებულ მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზს.

### **3.1.2.2 საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო კოდექსი**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემას და საბიუჯეტო პროცესის თითოეულ ეტაპს. კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო კალენდარი და საბიუჯეტო პროცესის თითოეულ ეტაპზე მონაწილე მხარეების უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები. საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს საბიუჯეტო სისტემის ძირითად პრინციპებს, რასაც ეფუძნება საბიუჯეტო პროცესში მონაწილე ყველა მხარის ყოველდღიური საქმიანობა.

#### საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპებია:<sup>6</sup>

- ✓ **ყოვლისმომცველობა** – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;
- ✓ **გამჭვირვალობა** – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;
- ✓ **ანგარიშვალდებულება** – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;
- ✓ **დამოუკიდებლობა** – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ **ერთიანობა** – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;
- ✓ **უნივერსალობა** – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- ✓ **კონსოლიდირება** – ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის

<sup>6</sup> საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლი.

სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში.

### **3.1.2.3 ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)**

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

დოკუმენტის მოიცავს 4 წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია.

BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. ყოველი წლის 1 მარტიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები იწყებენ მუშაობას საშუალოვადიანი დაგეგმვის მიმართულებით. ყოველწლიურად საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ნუსხას, რისი წარმოდგენაც მხარჯავ დაწესებულებებს ევალებათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მოსამზადებლად.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა.

დოკუმენტის პირველადი ვარიანტის შემუშავებამდე ხდება ძირითადი მიმართულებების საქართველოს პარლამენტთან შეთანხმება და ამ მიმართულებების საფუძველზე სამინისტროების საშუალოვადიანი გეგმების შემუშავება.

ყოველი წლის 10 ივლისამდე საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

#### **ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) სტრუქტურა:**

**პირველი ნაწილი:** წარმოადგენს საქართველოს მთავრობის პროგრამას, რომლითაც იგი წარსდგა საქართველოს პარლამენტის წინაშე;

**მეორე ნაწილი:**

- ✓ ძირითადი საბიუჯეტო და მაკროეკონომიკური პარამეტრების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა.შ.) მაკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზები;
- ✓ გასული საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზი და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებული პროგნოზები;
- ✓ მომდევნო წლების საბიუჯეტო პარამეტრების პროგნოზები;

მესამე ნაწილი:

- ✓ მთავრობის პროგრამიდან გამომდინარე ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის პრიორიტეტები;
- ✓ სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებებისათვის ასიგნებებისა (დასაგეგმი 4 წლისათვის) და რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობები (ე.წ. ჭერები);
- ✓ მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები და ამ პროგრამების საშუალოვადიანი ბიუჯეტები.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის წარმოადგენს საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის პაკეტის ნაწილს და შესაბამისად საქართველოს პარლამენტს წარედგინება ბიუჯეტის პროექტთან ერთად. დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი კი ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტებს და ინფორმაციის სახით წარედგინება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

#### **3.1.2.4 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადება**

BDD დოკუმენტში 10 ივლისამდე განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის ასიგნებების და რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობები, რომლის ფარგლებშიც 1 სექტემბრამდე ხდება საბიუჯეტო განაცხადების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენა. წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადება ხორციელდება საჯარო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (PFMS) შესაბამისი მოდულების მეშვეობით. შესაბამისი ელექტრონული ფორმის მეშვეობით შესაძლებელია ზღვრული მოცულობის ზემოთ განაცხადის წარმოდგენა. კოდექსით დეტალურადაა გაწერილი რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადი.

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით 2011 წლის ივლისში მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია პროგრამულ ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებული სხვადასხვა მეთოდური მითითებები.

წარმოდგენილ საბიუჯეტო განაცხადებზე დაყრდნობით და ფისკალური წესების და დადგენილი პარამეტრების გათვალისწინებით დგება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის, მისი განხილვის და დამტკიცების ვადები. კოდექსში დეტალურადაა გათვალისწინებული რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი.

ბიუჯეტის პროექტის წარდგენა საქართველოს პარლამენტისათვის ხდება 1 ოქტომბრამდე, საქართველოს პარლამენტი იხილავს პროექტს და შენიშვნებით უბრუნებს საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა დოკუმენტს კიდევ 2-ჯერ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს განსახიველად, შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით (არაუგვიანეს 5 და 30 ნოემბრისა).

### სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა:

- ✓ პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობებისა და გადასახდელების გაშლა, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით, დეფიციტის მოცულობა და მისი დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;
- ✓ მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);
- ✓ მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობაც;
- ✓ მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა;
- ✓ მე-8 თავში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები;

საქართველოს პარლამენტში წარდგენისას პროგრამული ბიუჯეტის პროექტს, მეტი გამჭვირვალობის მიზნით თან ახლავს ინფორმაციული დანართები, სადაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ:

პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები;

კაპიტალური ბიუჯეტის დანართში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესახებ (მათ შორის პროექტის მთლიანი ღირებულება, მისი დაფინანსების წყაროები, დასრულების ვადები და სხვა);

ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების დეტალური ჩაშლა და ინფორმაცია თითოეული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ.

### სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის:

- ✓ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:
- ✓ ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზები და მათ აღწერას;
- ✓ ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზები და მათ აღწერას;
- ✓ ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;
- ✓ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვა;
- ✓ წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი;
- ✓ დამატებითი ინფორმაცია ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული ჩარჩო პარამეტრებისა, საბიუჯეტო კოდექსი ადგენს დამატებით ლიმიტებს და რეგულაციებს, რომელიც ასევე ფისკალური დისციპლინის ნაწილია. წლიური ბიუჯეტის კანონით შესაბამისად, გარდა მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისა, საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების როლი და კანონი ადგენს თუ რა შეიძლება იყოს ამ ტიპის გადასახდელები. მათ შორის, მოიაზრება საერეზერვო ფონდები და მათთვის დადგენილია შესაბამისი ლიმიტი (არაუმეტეს მთლიანი ბიუჯეტის 2%).

საბიუჯეტო კოდექსით ასევე განსაზღვრულია რეგულაციები წლიური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული მოცულობების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების თაობაზე.

ასევე განსაზღვრულია წლიური ბიუჯეტის კანონის დაზუსტების მექანიზმები.

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის.

საბიუჯეტო კოდექსი ადგენს ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვაზე ზედამხედველ პირს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) და განსაზღვრავს საქართველოს

პარლამენტის უფლებამოსილებას გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

მხარჯავი დაწესებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ. საქართველო ფინანსთა მინისტრი კოდექსით განსაზღვრულ ვადებში იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების (გადასახდელების ნაწილში) კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციისა და არსებული რესურსის გათვალისწინებით.

### **3.1.2.5 ნაერთი ბიუჯეტი, სხვადასხვა დონის ბიუჯეტები, ბიუჯეტის ბალანსი და დეფიციტის დაფინანსების წყაროები**

**სახელმწიფო ბიუჯეტი** წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციების და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

**ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტი** წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.


**ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი** წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებულ ბიუჯეტს. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების ორგანოს მიერ დამტკიცებას.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისთვის პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საბიუჯეტო კოდექსით ასევე განისაზღვრება დამატებით *ერთიანი მთავრობის ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი:*





საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მომზადების, წარდგენის, განხილვის და დამტკიცების მარეგულირებელ ნორმებს და მათ საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებულ დებულებებს. ასევე აყალიბებს ტრანსფერების სახეებისა და გათანაბრებითი ტრანსფერის გამოთვლის ფორმულას. კოდექსითვე დგინდება შემოსულობების განაწილების წესი ბიუჯეტებს შორის.

### **საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს ბიუჯეტის პროფიციტს/დეფიციტს:**

- ✓ ბიუჯეტის შემოსავლებს - ხარჯები = საოპერაციო სალდოს
- ✓ საოპერაციო სალდოს - არაფინანსური აქტივების ცვლილება = ბიუჯეტის მთლიანი სალდო;

დადებითი მთლიანი სალდო წარმოადგენს ბიუჯეტის პროფიციტს, უარყოფითი მთლიანი სალდო კი ბიუჯეტის დეფიციტს

**GFS1986 კლასიფიკაციის მიხედვით** ფისკალური დეფიციტი/პროფიციტი წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსავლების, მიმდინარე ხარჯების და კაპიტალური ხარჯებისა და წმინდა დაკრედიტების სხვაობას;

- ✓ შემოსავლებს (გადასახადები, გრანტები და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები) - მიმდინარე ხარჯები = საოპერაციო ბალანსს;
- ✓ საოპერაციო ბალანსს - კაპიტალური ხარჯები და წმინდა დაკრედიტება = დეფიციტს/პროფიციტს;
- ✓ წმინდა დაკრედიტება = დაკრედიტებას - გაცემული სესხების უკან დაბრუნება.

აღნიშნული ბალანსდება დაფინანსების მთლიანი მოცულობით, რომელიც წარმოადგენს საშინაო ან/და საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტების, ასევე პრივატიზაციიდან მიღებული შემოსულობების და პერიოდის დასაწყისისთვის არსებული დეპოზიტების გამოყენების/დაგროვების ჯამს.

### **3.1.2.6 ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში**

საბიუჯეტო კოდექსი ადგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშების წარმოდგენის ვადებს და განსაზღვრავს იმ ინფორმაციას, რასაც ეს ანგარიშები უნდა მოიცავდეს. კოდექსით განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით საქართველოს კონტროლის პალატის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის მოხსენების წარდგენის და საქართველოს პარლამენტის მიერ ანგარიშის დამტკიცების ვადები.

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელნი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებას და მართვას ზედამხედველობს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია

გაკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საბიუჯეტო ორგანიზაციების გადასახდელების დასაფინანსებლად სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ფულის გაცემა ხორციელდება ბიუჯეტის განწერისა და ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის საფუძველზე.

სახელმწიფო ხაზინის საქმიანობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბიუჯეტის შემოსულობების მიღების, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების გადახდის და სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშებზე ფულადი სახსრების ოპერაციების გამჭვირვალობა და სრული ანგარიშგება. სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების და სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების სრული და სწორი აღრიცხვისთვის. სახელმწიფო ხაზინა ახორციელებს საბიუჯეტო ორგანიზაციის გადასახდელების დასაფინანსებლად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად გადახდების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გადახდის განხორციელების ყველა ეტაპზე. ასევე აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შემოსულობების და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მიხედვით.

ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც უნდა მოიცავდეს მაკროეკონომიკურ და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებს, შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად, დადგენილ ვადებში ამზადებენ საბოლოო ანგარიშებს და ანგარიშგებებს, რომლებიც ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ფინანსთა სამინისტრო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით და მხარჯავი დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მათ შორის წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების და მიღწეული შედეგების შესახებ და შეუსაბამობებთან დაკავშირებით განმარტებებს, თუ მხარჯავი დაწესებულების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის შეუსაბამობა აღემატება 30%-ს,

ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15%-ს.

### **3.1.2.7 ფისკალური ინსტიტუტები**

#### **საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი**

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი წარმოადგენს დამოუკიდებელ ფისკალურ ინსტიტუციას, რომლის უმთავრესი მიზანია აღმასრულებელი ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ანალიზით, კვლევით, შეფასებითა და საჭიროებისამებრ, რეკომენდაციებით, ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების მართვაზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას და შესაბამისად, საჯარო ფინანსების ჯანსაღ, გამჭვირვალე მართვასა და ფისკალურ მდგრადობას საშუალო/გრძელვადიანი პერიოდისათვის.

საბიუჯეტო ოფისი პირველად 1997 წელს შეიქმნა, თუმცა 2005 წლიდან ოფისი ექვემდებარებოდა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. 2014 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და მისი საქმიანობის საერთაშორისო უკეთეს პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2014 წელს განხორციელებული ცვლილებებით საბიუჯეტო ოფისის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ დეკლარირებულ ძირითად პრინციპებს დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუციებისათვის: ოფისი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად, განისაზღვრა დამოუკიდებლობის გარანტიები, შეიცვალა ორგანიზაციული სტრუქტურა. არსებული ცვლილებების შემდგომ, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე.

რეფორმის შემდგომ, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატი მოიცავს დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუციებისათვის საერთაშორისო პრაქტიკით მიღებულ ყველა ძირითად ფუნქციას, კერძოდ, არსებული მანდატის შესაბამისად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი:

ამზადებს მაკროეკონომიკური და ფისკალური გარემოს, ასევე საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციების პერიოდულ ანალიზს;

აფასებს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე საბიუჯეტო აგრეგატების საფუძვლად გამოყენებული ოფიციალური მაკროეკონომიკური დაშვებების (საპროგნოზო მაჩვენებლების) საფუძვლიანობას, ასევე უფლებამოსილია მოამზადოს დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური/ფისკალური პროგნოზები საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის;

აფასებს მთავრობის ფისკალური პოლიტიკის შესაბამისობას საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულ ფისკალურ ლიმიტებთან;

აფასებს აღმასრულებელი ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკის შესაბამისობას საშუალო და გრძელვადიან ფისკალური მდგრადობის კურსთან და არსებულ ფისკალურ რისკებს, ასევე უფლებამოსილია მოამზადოს რეკომენდაციები მაკროექტირებელი ფისკალური ღონისძიებების შესახებ ქვეყნის საშუალო და გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობისა და მოკლევადიანი მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად;

ამზადებს დასკვნებს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტების ფინანსური დასაბუთების/გავლენის შესახებ ბიუჯეტის აგრეგატულ მაჩვენებლებზე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად; საბიუჯეტო ოფისის უფროსის გადაწყვეტილებისამებრ, აფასებს აღმასრულებელი/საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ ინიცირებულ დაგეგმილ ან/და მიმდინარე ცალკეული ფისკალური ღონისძიებების, ასევე საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემაში დაგეგმილი/მიმდინარე რეფორმების გავლენას ფისკალური პოლიტიკის კურსსა და საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე, მათ შორის, ფინანსურ გავლენას ბიუჯეტის აგრეგატულ მაჩვენებლებზე; ასევე უფლებამოსილია მოამზადოს რეკომენდაციები მაკროექტირებელი ღონისძიებების შესახებ ფისკალური მდგრადობის/საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

საბიუჯეტო ოფისი უზრუნველყოფს მისი დისკრეციის ფარგლებში მომზადებული დამოუკიდებელი მიმოხილვითი/შეფასებითი ანგარიშების საჯაროობას, ასევე პარლამენტისა და საზოგადოების ინფორმირებას გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ.

### **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) მომზადებისა და საშუალოვადიანი პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო* პასუხისმგებელია:

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და გაანგარიშების განხორციელებისთვის;

ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირებისა და დაგეგმვისთვის;

ანალიტიკური მასალებისა და საპროგნოზო გაანგარიშებების მომზადებისთვის.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) მომზადებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულებთან-გუბერნატორებთან, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებთან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და საქართველოს მიერ განსაზღვრულ მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით.

ამასთან, სამინისტროს სისტემაში სტრუქტურულად ფუნქციები გადანაწილებულია და რამდენიმე დეპარტამენტი დამოუკიდებლად თავის სფეროში ახორციელებს შესაბამისი ინფორმაციის მომზადებას.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი განსაზღვრავს ძირითად მაკროეკონომიკური პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლებს, ახორციელებს ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირებას და დაგეგმვას, ქვეყნის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. ახორციელებს ქვეყნის განვითარების საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიის შეიმუშავების კოორდინაციას.

საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრულ მოცულობებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

საბიუჯეტო დეპარტამენტი შეიმუშავებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს (BDD) და საშუალოვადიანი პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით ამზადებს წინადადებებს, ანალიტიკურ მასალებს და საპროგნოზო გაანგარიშებას. ამზადებს წლიურ საბიუჯეტო კანონის პროექტს და საჭირო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტებს.

### ***საქართველოს პარლამენტი და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი***

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ახორციელებს საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, საგადასახადო-საბაჟო და სავალუტო სისტემაში გასატარებელ ღონისძიებათა მოსალოდნელი შედეგების შეფასებას და შესაბამისი დასკვნების, ცნობების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების მომზადებას; ასევე, განიხილავს ბიუჯეტის პროექტს, შეიმუშავებს დასკვნას, ორგანიზებას უწევს მის განხილვასა და შეთანხმებას სხვა კომიტეტებსა და ფრაქციებში.

პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის განხილვის დროს საქართველოს პარლამენტი ისმენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

### ***სახელმწიფო აუდიტის სამსახური***

სახელმწიფო აუდიტის სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლეს ორგანოს, რომელიც ახორციელებს აუდიტს, შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, მათ შორის,

დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, პრევენციის, აგრეთვე შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სრულყოფის თაობაზე.

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს საქართველოს სახელმწიფო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. ასევე, ამზადებს დასკვნას საქართველოს პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

საჯარო სახსრების ხარჯვას საქართველოს პარლამენტი აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

### ***ეკონომიკური საბჭო (საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო):***

*შექმნილია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური სტრატეგიის დაგეგმარებისა და მათი შემუშავების კოორდინაციის მიზნით.*

ეკონომიკური საბჭო ახორციელებს ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს, ქვეყნის ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელი კანონების და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების განხილვას, ასევე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დაგეგმარების/მომზადების ზედამხედველობასა და კოორდინაციას, ეკონომიკური რისკებისა და საინვესტიციო გარემოს ანალიზს.

სტრუქტურა: საბჭოს ჰყავს მუდმივი და მოწვეული წევრები.

საბჭოს მუდმივი წევრები არიან: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ენერგეტიკის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში - ეკონომიკური საბჭოს მდივანი.

საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს მთავრობის სხვა წევრები, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, საგადასახადო ომბუდსმენი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი და სხვა საჯარო და კერძო იურიდიული პირების წარმომადგენლები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ხმის უფლების გარეშე საბჭოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა თანამდებობის პირები.

საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

### ***საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური***

*წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც შექმნილია ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით.*

სამსახურის მიზანია სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე ქვეყნის სოციალური, დემოგრაფიული, ეკონომიკური და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი ოფიციალური სტატისტიკის წარმოება.

მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების შეთანხმება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და გაითვალისწინება სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების პროგნოზები.

### **საქართველოს ეროვნული ბანკი**

*ქვეყნის სტაბილური განვითარებისათვის და სწორი ფისკალური პოლიტიკისათვის ასევე მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის არსებობა, რასაც ემსახურება საქართველოს ეროვნული ბანკი*

საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას;

უზრუნველყოფს საფინანსო სისტემის სტაბილურობას და გამჭვირვალობას და ხელს უწყობს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას;

შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;

ახორციელებს საფინანსო სექტორის ზედამხედველობას;

უზრუნველყოფს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას.

ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში.



#### 4. ფისკალური პოლიტიკის გასაძლიერებლად დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებები ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საჯარო ფინანსების რეფორმების კუთხით არის წამყვანი აღმასრულებელი ორგანო. იგი ასევე ასრულებს ძირითად როლს ფისკალური დაგეგმვისა და ზოგადად ბიუჯეტის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის მიმართულებით. მიუხედავად იმისა რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული, მნიშვნელოვანია შემდგომი პროგრესი საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, რათა დავეუხლოვდეთ ფისკალური მმართველობის ევროპულ პრაქტიკასა და სტანდარტებს.

2009 წლის რეფორმების შედეგად საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე საბიუჯეტო პროცესები ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე დაფუძნებულია პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტირებაზე. ეს ნაბიჯი საშუალებას იძლევა მოხდეს უკეთესი დაგეგმვა და კოორდინაცია დარგობრივი სამინისტროების აქტივობებს შორის რეგიონებში. ქვეყნის თვითმმართველ ერთეულებში პროგრამულ ბიუჯეტირებასთან ერთად მიმდინარეობს ეტაპობრივი დეცენტრალიზაციის პროცესი, თუმცა, პროგრამული ბიუჯეტირების ინიციატივა საჭიროებს შემდგომ განვითარებას, რომ მოხდეს მისი სრული პოტენციალის გამოყენება, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო მექანიზმი და შეიძინოს დამატებული ღირებულება პრიორიტეტების განსაზღვრასა და შეზღუდული რესურსების განაწილებაში.

ბიუჯეტის კვლევა და ფინანსური ანგარიშგებების ზედამხედველობა უკვე ფუნქციონირებს, თუმცა საჭიროებს დამატებით განვითარებას. მნიშვნელოვანია პარლამენტის როლის გაძლიერება ამ კუთხით.

განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია და 2016 წლის ბიუჯეტი მომზადდა განახლებული ფორმატით. ხუთი პილოტი სამინისტროს მაგალითზე მომზადდა სამინისტროების დეტალურ სამოქმედო გეგმები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სამინისტროების მიერ განსახორციელებელი პროგრამების ფარგლებში ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ და შესაბამის დაფინანსებას, რომელიც ასისახა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში და 2016-2019 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში.

2016 წლის მანძილზე გაგრძელდა მუშაობა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებისა და პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფის მიმართულებით. ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ყველა სამინისტროს მიემარა ექსპერტი, რომელთა დახმარებითაც გადამუშავდა სამინისტროების სამოქმედო გეგმები და პროგრამული ბიუჯეტები. 2017-2020 წლის სამოქმედო გეგმები და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვებია დაამტკიცა პრაქტიკულად ყველა სამინისტრომ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ძირითადი ფისკალური წესები (გადასახდებლები, ბალანსი, სახელმწიფო ვალი, შემოსავლების წესი) და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრებთან, მნიშვნელოვანია საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში

ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების მაჩვენებლების შენარჩუნება, სწორი პროგნოზირების უზრუნველსაყოფად სათანადო ანალიზის ინსტრუმენტების დანერგვა. აღნიშნული მიზნით მნიშვნელოვანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, პროგნოზირების მიმართულების გაძლიერება და ანალიტიკური ინსტრუმენტების ჩამოყალიბება.

მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულებით, საბიუჯეტო ოფისთან მიმართებაში 2014 წელს განხორციელებული რეფორმის პრაქტიკაში იმპლემენტაცია და ოფისის რეალურად დამოუკიდებელ, ობიექტურ სტრუქტურად ჩამოყალიბება.

ზემოაღნიშნული ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების სწორი დაგეგმვისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ასეთი დამოუკიდებელი უწყებების მიერ მომზადებული ალტერნატიული პროგნოზები, რაც გამორიცხავს ყველა მთავრობისათვის ბუნებრივად დამახასიათებელი „პოზიტიური“ აღქმების გავლენის შემცირებას ფისკალურ პოლიტიკაზე.

ფისკალური პოლიტიკისა და მართვის გაძლიერების უზრუნველსაყოფად ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია მდგრადი საშუალოვადიანი დაგეგმვა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტით (BDD) განსაზღვრული საშუალოვადიანი გეგმების და მისგან გამომდინარე სამინისტროების სამოქმედო გეგმებისა და სხვა სექტორული სამოქმედო გეგმების შემუშავების მექანიზმების დანერგვა, ამ გეგმების შესრულებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვებისა და განფასების მომზადების ინსტრუმენტების, ასევე სამოქმედო გეგმების მიზნებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების ჩამოყალიბების სქემების დანერგვა.

წლიური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში პროგრამული ბიუჯეტირების სრულყოფილ მექანიზმად ჩამოყალიბება, წლიური გეგმების საშუალოვადიან გეგმებთან თავსებადობა, ბიუჯეტის დაგეგმვისას პროგრამების შემუშავებასა და მათი მოსალოდნელი შედეგების ჩამოყალიბებაზე ფოკუსირება და შესრულების შეფასების ინდიკატორების, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ორიენტირის ჩამოყალიბება წარმოადგენს ფისკალური მართვის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ ინსტრუმენტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამუშაოები უნდა გატარდეს შემდეგი მიმართულებით:

- ✓ საშუალოვადიანი დაგეგმვის გაძლიერება;
- ✓ ფისკალური პროგნოზირების გაძლიერება;
- ✓ პროგრამული ბიუჯეტირების გაუმჯობესება;
- ✓ დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების გაძლიერება;
- ✓ ფისკალური დისციპლინის ჩამოყალიბება.

#### 4.2.1 ფისკალური წესები

2014 წლიდან ამოქმედდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი და საბიუჯეტო პროცესი დაგეგმვისას ითვალისწინებს ამ კანონით დადგენილ ზღვრებსა და შეზღუდვებს. თუმცა, კანონი განსაზღვრავს ზოგად ჩარჩო პრინციპებს, ამ ჩარჩო პრინციპების დაცვისათვის საჭიროა ფისკალური პოლიტიკის სწორად დაგეგმვა სხვადასხვა ასპექტში. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დეფიციტის ზღვრული მოცულობა ან ვალის შეფარდება მშპ-თან არამედ ამ ყველაფრის სტრუქტურა. ჯანსაღი ბიუჯეტის დაგეგმვის პრინციპების პრაქტიკაში ამუშავება, რათა ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ხდებოდეს არ მხოლოდ ზოგადი პარამეტრების დაცვა, არამედ თავისი შინაარსით ბიუჯეტი აღწევდეს მთავარ მიზნებს, როგორც სოციალური ისე ეკონომიკის სტიმულირების მიმართულებით.

აღნიშნული კვლევის მიზნებისათვის საქართველოს მაგალითზე შევსებულ იქნა კითხვარი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში ფისკალური წესების ინდექსის გამოსათვლელად. (კითხვარი - იხილეთ დანართი №5).

[http://ec.europa.eu/economy\\_finance/db\\_indicators/fiscal\\_governance/documents/questionnaire\\_nfr\\_2012\\_b.pdf](http://ec.europa.eu/economy_finance/db_indicators/fiscal_governance/documents/questionnaire_nfr_2012_b.pdf)

ფისკალური წესები ჯერ კიდევ ახალი თემაა საბიუჯეტო პროცესისათვის საქართველოში. ამ მიმართულებით ნაკლებად მიდის მსჯელობა ბიუჯეტის განხილვისას და თემას ნაკლებად აშუქებს მედია. ამ ეტაპზე ეს წესები აქტიურად განიხილება უშუალოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიგნით და საბიუჯეტო პროცესში უშუალოდ მონაწილე პირების მიერ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვიდრე ფისკალური წესები მსჯელობის საგანი გახდება ფართო საზოგადოებაში საჭიროა ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება. ტერმინები ფისკალური პოლიტიკა, დეფიციტი, სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-თან მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის არც თუ ისე გასაგები ცნებებია.

#### ფისკალური წესების ქვერეგულაციები

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე მოხდეს ფისკალური წესების ქვერეგულაციების დადგენა საქართველოს მთავრობის ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ (მთავრობასთან შეთანხმებით), რომელიც უზრუნველყოფს კანონით განსაზღვრული ჩარჩოს ფარგლებში დამატებითი რეგულაციების განსაზღვრას საშუალოვადიან პერიოდში ბიუჯეტის ფისკალურ პარამეტრებთან მიმართებაში და მისი გადახედვა არსებული რეალობისა და წარმოქმნილი გამოწვევების გათვალისწინებით.

წესი დაარეგულირებს მთელ რიგ საკითხებს ბიუჯეტის დაგეგმვასთან მიმართებაში, განსაზღვრავს მიმდინარე ხარჯების ზრდაზე რიგ რეგულაციებს, შესაძლებელია

დაარეგულიროს ახალი უწყებების შექმნისა და ახალი საშტატო ერთეულების გაჩენის შესაძლებლობები, გარკვეული ზღვრები განსაზღვროს სოციალური ან სხვა მიმართულების ხარჯებისათვის, ასევე ძირითად მიდგომებს საინვესტიციო პროექტებთან მიმართებაში და ამ სახის გადასახდელების წილს მთლიან გადასახდელებში.

წესი შესაძლებელია ასევე შემუშავდეს საშუალოვადიანი პერიოდისათვის და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან ერთად დაექვემდებაროს გადაამუშავებას საჭიროებიდან გამომდინარე.

ქვერეგულაციის წესმა შესაძლებელია განსაზღვროს გარკვეული ზღვრები სხვადასხვა დონის ბიუჯეტისათვის, რომელიც ჯამურად შესაბამისობაში იქნება კანონით დადგენილ პარამეტრებთან, ან დააწესოს უფრო ქვედა ზღვარი ვიდრე ეს განსაზღვრულია ორგანული კანონით ნაერთი პარამეტრებისათვის.

კანონმდებლობა განსაზღვრავს ე.წ. escape clause-ების ზოგად ჩარჩოს, ქვერეგულაციამ შესაძლოა კონკრეტული წლისა და თუ საშუალოვადიანი პერიოდისათვის დაადგინოს აღნიშნული რეგულაციის გამოყენების შესაძლებლობის კიდევ უფრო შეზღუდული პირობები და განსაზღვროს უფრო მეტი დეტალები უკან დაბრუნების ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

*2016 წელს მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ ცვლილების პროექტი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და მთელი რიგი რეგულაციები 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში. ცვლილებების თანახმად დაწესდა დამატებითი შეზღუდვები 2017 წლიდან სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილთან მიმართებაში, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრული ფისკალური წესებისა და ლიმიტების დაცვა. ცვლილებების თანახმად პარლამენტი უფლებამოსილია ხარჯვითი ნაწილის ძირითადი პარამეტრები შეზღუდოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისთვისაც. ასევე წესდება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებისა და ოპტიმიზაციის ვალდებულება როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლებებისათვის. გამკაცრდა რეგულაციები, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ ბიუჯეტების დაგეგმვისას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო შემოსავლების პროგნოზებთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინების აუცილებლობას.*

## **ფისკალური წესების დაფარვა**

პრაქტიკაში ფისკალური წესების მეტად გამოყენებასთან ერთად გაიზრდება მისი დატვირთვა ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვაში, აღნიშნული ასევე გავლენას მოახდენს ამ ტიპის რეგულაციებთან მიმართებაში გაიზარდოს საბიუჯეტო პროცესში მონაწილე მხარეების ინტერესი. საკანონმდებლო დონეზე და დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების

მხრიდან აღნიშნული პარამეტრები უნდა გახდეს განხილვისა და მსჯელობის ფართო საგანი. ეტაპობრივად გაიზრდება დაინტერესება მედიის მხრიდან.

2017 წლის მანძილზე გაგრძელდება მუშაობა ფისკალური წესების რეგულაციების შემდგომი დახვეწის მიმართულებით, აღნიშნულთან დაკავშირებით მუშაობა გაგრძელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

#### 4.2.2 ფისკალური ინსტიტუტები

საქართველოს საბიუჯეტო პროცესში ჩართული მონაწილე მხარეები შეესაბამება საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას. საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საკანონმდებლო ორგანო და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ინაწილებენ საბიუჯეტო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მათთვის დაკისრებულ ფუნქციებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და მთავრობა 10 წელზე მეტია ახორციელებს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმას, რაც მათ შორის გულისხმობს ყველა ამ ინსტიტუტის შესაძლებლობების გაძლიერებას და ამ მიმართულებით კვლავაც გაგრძელდება მუშაობა

საქართველოს საბიუჯეტო ოფისი, ასევე წლებია არსებობს საქართველოს პარლამენტში, თუმცა მისი როგორც დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტის ჩამოყალიბება, ამჟამად მიმდინარეობს და მიზნად ისახავს საბიუჯეტო ოფისის რეალურად დამოუკიდებელ ინტრუმენტად ჩამოყალიბებას, რომელიც განახორციელებს ალტერნატიულ და დამოუკიდებელ გათვლებს და ანალიზს სახელმწიფოს მიერ წარმოებული ფისკალური პოლიტიკის სისწორისა და მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

*კვლევის მიზნებისათვის შევსებულ იქნა ევროკავშირის ქვეყნებისათვის შემუშავებული კითხვარი ფისკალურ ინსტიტუტებთან მიმართებაში. შევსებულ იქნა მონაცემთა ბაზა, რომელიც საშუალებას იძლევა შედარებულ იქნეს საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მდგომარეობა ამ მიმართულებით.*

*(იხილეთ დანართი №6 და დანართი №7)*

#### საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

საბიუჯეტო ოფისის მომზადებული აქვს საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა. საბიუჯეტო ოფისი საშუალოვადიან პერიოდში განახორციელებს ღონისძიებებს რამდენიმე სტრატეგიული მიზნის ირგვლივ, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უმთავრესი მისიის - ფისკალურ მართვაზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებით აღნიშნულ პროცესში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდისა და შესაბამისად, ფისკალური მდგრადობის ხელშეწყობას ორი ძირითადი მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებებით:

საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა საბიუჯეტო ოფისის მანდატით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციების შესაბამისად და საბიუჯეტო ოფისის, როგორც დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუციის დამკვიდრება არსებულ ფისკალურ არქიტექტურაში,

ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად.

*ფისკალური პოლიტიკისა და მაკროეკონომიკური გარემოს დამოუკიდებელი ანალიზი და შეფასება, პარლამენტის მხრიდან საბიუჯეტო კონტროლის გაძლიერება, ფისკალური მართვის პროცესში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა*

მაკროეკონომიკური გარემოსა და ფისკალური პოლიტიკის პოზიტიური ანალიზის მიმართულებით საქმიანობის ხარისხის სრულყოფით, საბიუჯეტო ოფისი მიზნად ისახავს პარლამენტის ინფორმირებულობის ზრდას ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ; საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო ოფისი განახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს ამ მიმართულების გასაძლიერებლად.

საბიუჯეტო ოფისი პირველ ეტაპზე უზრუნველყოფს, ოფიციალური მაკროეკონომიკური პროგნოზების შეფასებას, ხოლო შემდგომ ეტაპზე, დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზების მომზადებას მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისათვის. ამით საბიუჯეტო ოფისი უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური დაშვებების საფუძვლიანობის შეფასებას, რომელიც საფუძვლად უდევს მომდევნო წლისა და საშუალოვადიანი პერიოდის ფისკალურ გეგმას;

საბიუჯეტო ოფისი განახორციელებს ადმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი საშუალოვადიანი ფისკალური გეგმის მდგრადობის შეფასებას და აღნიშნულის შესახებ საკანონმდებლო ორგანოს ინფორმირებულობის ზრდას, განსაკუთრებით ფისკალური პოლიტიკის განსაზღვრის ეტაპზე;

საკანონმდებლო საქმიანობაში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის როლის ზრდით საბიუჯეტო სახსრების მართვის ეფექტიანობის ხელშეწყობა

განხორციელდება საკანონმდებლო ინიციატივების შეფასების მიმართულებით საბიუჯეტო ოფისის მიდგომის დახვეწა და შესაბამისი პროცესებისა და პროცედურების განსაზღვრა და დანერგვა;

საბიუჯეტო ოფისი უზრუნველყოფს საკანონმდებლო ინიციატივების შეფასების მიმართულებით საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დასკვნების/მოხსენებების ხარისხის სრულყოფას, რათა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში მოხდეს პარლამენტისათვის ობიექტური და დასაბუთებული შეფასებების წარდგენას, საკანონმდებლო ორგანოს ინფორმირებულობას საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი მართვისა და ფისკალური დისციპლინის უზრუნველსაყოფად.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, როგორც დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუციის როლის დამკვიდრება არსებულ ფისკალურ არქიტექტურაში

ოფისი სრულად ამოქმედებს მისთვის მანდატით განსაზღვრულ დამოუკიდებლობის მექანიზმებს პრაქტიკაში, აღნიშნული ამოცანის განხორციელებით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მიზნად ისახავს უზრუნველყოს ოფისის დამკვიდრება დამოუკიდებელ ინსტიტუციადა;

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი განახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს რათა მოხდეს მისი, როგორც დამოუკიდებელი, ობიექტური და მაღალპროფესიული ორგანოს ცნობადობის ზრდა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაძლიერებით - კერძოდ, პარლამენტი, მედია, საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები;

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, როგორც დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუციის, საქმიანობის ჯეროვნად წარმართვისათვის ოფისი უზრუნველყოფს კომუნიკაციის მექანიზმების სრულყოფას ფისკალური მართვის სისტემის ძირითად ინსტიტუტებთან - აღნიშნული ამოცანის განხორციელება მიზნად ისახავს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს ჰქონდეს გამართული კომუნიკაციის მექანიზმი ყველა იმ უწყებასთან, რომლებთან საქმიანი თანამშრომლობაც არსებითია მისი საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის.

*პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება მისი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის უზრუნველყოფად*

ოფისი განახორციელებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის არსებული კადრების პროფესიული განვითარების, ასევე კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების შესაძლებლობის გაუმჯობესებას, მანდატით განსაზღვრული მიმართულებებით უწყების პროფესიული შესაძლებლობის სრულყოფას;

ოფისი განახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მართვის სისტემებისა და პროცესების გაუმჯობესების მიზნით სამსახურის საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად. მართვის შიდა პროცესების დახვეწით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მიზნად ისახავს უზრუნველყოს მანდატით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციური მიმართულებებით საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა არსებული ადამიანური და დროითი რესურსების გათვალისწინებით;

საერთაშორისო პრაქტიკით მიღებული სტანდარტების შესაბამისად საქმიანობის წარმართვის მიზნით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მიზნად ისახავს მისი მანდატით განსაზღვრული მიმართულებებით საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას, გაზიარებასა და მეთოდოლოგიური ასპექტების დახვეწას, რაც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ხარისხის შესაბამისობას საერთაშორისო პრაქტიკით მიღებულ სტანდარტებთან;

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა - აღნიშნული ამოცანის განხორციელებით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მიზნად ისახავს მისი საქმიანობის ხარისხის დამოუკიდებელი პერიოდული შეფასების მექანიზმის შემუშავებას და დანერგვას, რაც საშუალებას მისცემს უწყებას მოახდინოს მისი

საქმიანობის ხარისხის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის შეფასება და შემდგომი დახვეწისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება.

## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

### სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგია საშუალოვადიანი პერიოდისათვის

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საჯარო ფინანსების მართვისა და ფისკალური პოლიტიკის წარმატებაში და მისი როლი უმნიშვნელოვანესია საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში.

- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე იმოქმედებს საშუალოვადიანი პერიოდისათვის განსაზღვრული სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს შემდეგი მიზნების მიღწევას:
- ✓ აუდიტორული საქმიანობის შედეგების მაქსიმიზაცია;
- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლის ზრდა საჯარო რესურსების მართვის სისტემის მუდმივ გაუმჯობესებაში;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ჩამოყალიბება მაღალპროფესიულ ორგანოდ მრავალმხრივი განათლების მქონე კადრებით, თანამედროვე მართვის სისტემებითა და პროცესებით, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს საქმიანობის მაღალ ხარისხს, დროულობასა და სანდოობას.

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლების მიზნით სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს როგორც თავისი ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე, საქმიანობის შეფასების ძირითადი ინდიკატორების (KPI) დანერგვას, რათა დასახული მიზნების მიღწევის პროცესში შესაძლებელი იყოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზომვა და მონიტორინგი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია პარლამენტთან, საერთაშორისო დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან, ასევე, სხვა დაინტერესებულ მხარებთან გამართული კონსულტაციების შედეგად და ითვალისწინებს ღონისძიებებს შემდეგი მიმართულებით:

პარლამენტის ხელშეწყობას მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში;

მთავრობის ხელშეწყობას ანგარიშვალდებულების დონის/ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების განხორციელებაში;

ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომუნიკაციის სტრატეგია



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ასევე ცალკე მომზადდა კომუნიკაციის სტრატეგია, აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა გაიზარდოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული დასკვნებისა და ანალიზების აღქმადობა საზოგადოებაში და კიდევ უფრო გაძლიერდეს ამ ინტრუმენტების როლი სახელმწიფო ფინანსების მართვის პროცესში. კომუნიკაციის სტრატეგიის მიზანია უზრუნველყოფილი იქნეს დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური, გამჭვირვალე, ზუსტი და დროული კომუნიკაცია და გაძლიერებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხედვის, მიზნებისა და ამოცანების აღქმადობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი და ობიექტური უწყების აღქმა, რომელიც ნდობას იმსახურებს, როგორც საჯარო ფინანსების მართვაში ჩართულ პირებში, ისე ფართო საზოგადოებაში, მნიშვნელოვანია და ამ მიზნით აუდიტის სამსახური განახორციელებს:

ამოცანებს გარე კომუნიკაციის მიმართულებით (ჩართულ მხარეებთან)

ამოცანებს შიდა კომუნიკაციის მიმართულებით (თანამშრომლებთან და აუდიტორებთან)

ზემოაღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფო აუდიტის სამსახური:

ა) განახორციელებს ღონისძიებების სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ზოგადად საჯარო აუდიტის თაობაზე საზოგადოებაში ცნობიერების ასამაღლებლად;

ბ) განახორციელებს ღონისძიებებს, რათა ჩამოყალიბდეს გრძელვადიანი და ეფექტური ურთიერთობები აუდიტორებს, აუდიტის ობიექტებსა და სხვა ჩართულ მხარეებს შორის, ასევე მედიის წარმომადგენლებთან და აღნიშნული ემყარებოდეს განსაზღვრულ პროცედურებსა და წესებს;

გ) განახორციელებს ღონისძიებებს, რათა გაიზარდოს საზოგადოების ჩართულობა, რაც გათვალისწინებული იქნება როგორც აუდიტის დაგეგმვის, ისე შესაძლო დარღვევების გამოვლენის მიმართულებით;

დ) აეწეობა კომუნიკაციის მდგრადი სტრუქტურა, რათა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ და მისი სახელით განხორციელებული ყველა კომუნიკაცია ემსახურებოდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზნებს.

საქართველოს ფისკალური პოლიტიკის ევროკავშირის პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებები

№	ღონისძიების დასახელება (არსებული)	ღონისძიების დასახელება (მოდიფიცირებული)	განმახორციელებელი	პარტნიორი უწყება	განხორციელების ვადა	შესრულების მაჩვენებელი
1.	არანაკლებ 5 სამინისტროში პილოტურ რეჟიმში მომზადებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები განახლებული ფორმატით, რომლებსაც თან ახლავს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მხარჯავი დაწესებულებები	2015 წელი	შესრულებულია
2.	ყველა სამინისტროში მომზადებული განახლებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, რომლებსაც თან ახლავს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მხარჯავი დაწესებულებები	2016-2020 წწ	შესრულებულია 2016 წელს მომზადებულ გეგმებთან მიმართებაში
3.	ყოველწლიურად მზადდება საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სამოქმედო გეგმა, რომელსაც თან		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		2015 წლიდან	შესრულებულია 2015-2016 წლებში მომზადებულ სამოქმედო გეგმებთან მიმართებაში

№	ღონისძიების დასახელება (არსებული)	ღონისძიების დასახელება (მოდული/ფირმა/ბუ ლი)	განმახორციელებე ლი	პარტნიორი უწყება	განხორცი ელების ვადა	შესრულების მაჩვენებელი
	ახლავს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები					
4.	სექტორული სტრატეგიების განფასებების (მათ შორის, საჯარო ადმინისტრირების რეფორმა - PAR; მთავრობის სამოქმედო გეგმა - AGWP; მიგრაციის სამოქმედო გეგმა; დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგია) მომზადება		მხარჯავი დაწესებულებები	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2015 წლიდან	შესრულებულია 2015-2016 წლებში მომზადებულ სამოქმედო გეგმებთან მიმართებაში
5.	მიღებული გამოცდილების საფუძველზე ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქციის დამტკიცება		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		2017 წწ	პრაქტიკაში გამოიყენება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ინსტრუქცია
6.	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		2016 წელი	შესრულებულია, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილება და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება.

№	ღონისძიების დასახელება (არსებული)	ღონისძიების დასახელება (მოდიფიცირებული)	განმახორციელებელი	პარტნიორი უწყება	განხორციელების ვადა	შესრულების მაჩვენებელი
7.	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის პილოტირება და დანერგვა		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მხარჯავი დაწესებულებები	2016-2020 წლები	შემუშავებულია მეთოდოლოგიითა და გზამკვლევით გათვალისწინებული დებულებების ამსახველი საპრეზენტაციო მასალები, მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებულ იქნა იმ პროექტების საორიენტაციო ჩამონათვალი, რომელთან მიმართებაშიც განხორციელდება მეთოდოლოგიის პილოტირება
8.	პროგრამული ბიუჯეტირების დახვეწა	პროგრამული ბიუჯეტირების დახვეწა, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის გადამუშავება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკები; მუნიციპალიტეტები;	2017 წლიდან (მიმდინარე)	
9.	პროგრამული ნაწილის ანგარიშგების დახვეწა - პროგრამების შესრულების ანგარიშები		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მხარჯავი დაწესებულებები	2016 წლიდან (მიმდინარე)	2016 წლის წლიურ ანგარიშთან მიმართებაში მომზადდება პროგრამული ბიუჯეტის დანართით გათვალისწინებული შედეგებისა და ინდიკატორების შესრულების შეფასება

№	ღონისძიების დასახელება (არსებული)	ღონისძიების დასახელება (მოდიფიცირებული)	განმახორციელებელი	პარტნიორი უწყება	განხორციელების ვადა	შესრულების მაჩვენებელი
10.	სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევის (Citizens Guide) განახლება		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		2015 წლიდან	შესრულებულია
11.	ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და ღია ბიუჯეტის ინდექსის შედეგის გაუმჯობესება		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		2016-2017 წლები	<p>შესრულებულია და კვლავ გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა</p> <p>გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015“ (Open Budget Survey 2015) შედეგებით, საქართველომ 66 ქულით მე-16 ადგილი დაიჭირა მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის, რითაც მნიშვნელოვნად გაიმჯობესა პოზიციები 2012 წლის ანალოგიურ კვლევასთან შედარებით (2012 წლის ინდექსის თანახმად 33-ე ადგილს იკავებდა 55 ქულით) და საქართველო მოექცა მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნებს შორის (<a href="http://www.internationalbudget.org/wp-content/uploads/OBS2015-OBI-Rankings-English.pdf">http://www.internationalbudget.org/wp-content/uploads/OBS2015-OBI-Rankings-English.pdf</a>).</p>
12.	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებზე რეაგირების პროცესის დახვეწა		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		2015-2017 წლები	<p>შესრულებულია</p> <p>საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების გამლიერებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №144</p>

№	ღონისძიების დასახელება (არსებული)	ღონისძიების დასახელება (მოდული/ფირმა/ბუ ლი)	განმახორციელებე ლი	პარტნიორი უწყება	განხორცი ელების ვადა	შესრულების მაჩვენებელი
						დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა და დამტკიცდა საქართველოს 2014 და 2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმები (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N2836 და 2016 წლის 9 სექტემბრის N1823 განკარგულებები).
13.	ფისკალური რისკების დოკუმენტის დახვეწა და პირობითი ვალდებულებების ასახვა		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		2015-2017 წლები	შესრულებულია  საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) ერთად მომზადდა ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზი (2016-2020), რომელიც ასახულია ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების შესახებ.. აღნიშნული დოკუმენტი დანართის სახით თან ერთვის 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს - <a href="http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/SFR-2016-Total-bind.pdf">http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/SFR-2016-Total-bind.pdf</a>
14.	ფისკალური წესების გაანალიზება და		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		2016-2018 წლები	შესრულებულია

№	ღონისძიების დასახელება (არსებული)	ღონისძიების დასახელება (მოდიფიცირებული)	განმახორციელებელი	პარტნიორი უწყება	განხორციელების ვადა	შესრულების მაჩვენებელი
	საჭიროებისამებრ ქვერეგულაციების დადგენა					მდგრადი ფისკალური პოლიტიკისათვის აუცილებელი და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული პარამეტრების შენარჩუნების მიზნით წლიური ბიუჯეტის კანონით და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განისაზღვრება შეზღუდვები როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური ბიუჯეტებისათვის.
15.	საბიუჯეტო პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობის საკითხების დარეგულირება		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		2016-2018 წლები	სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ფარგლებში დონორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის დროს განხილულ იქნა საჯარო ფინანსების სფეროში დამატებით, საზოგადოების ჩართულობის და სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით, სხვადასხვა საკითხების აღნიშნული საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში განხილვის შესაძლებლობა. მათ შორის, ისეთ თემებთან მიმართებაში (სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების განხორციელებასთან, მონიტორინგთან, ან სხვა გამოწვევებთან/პრობლემატიკასთან დაკავშირებული) რაზეც ჩატარებულია ან მიმდინარეობს კვლევა და მიზანშეწონილია შედეგების განხილვა სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროში ჩართულ სხვადასხვა მხარესთან.

№	ღონისძიების დასახელება (არსებული)	ღონისძიების დასახელება (მოდიფიცირებული)	განმახორციელებელი	პარტნიორი უწყება	განხორციელების ვადა	შესრულების მაჩვენებელი
						<p>ყველა დაინტერესებულ მხარეს, შესაძლებლობა აქვს წარმოადგინონ საჯარო ფინანსების მართვის ფარგლებში მათთვის აქტუალური თემა, რომლის ირგვლივაც მომზადებულია კვლევა ან არსებობს გარკვეული რეკომენდაციები/შედეგები და საჭიროა საბჭოს ფორმატში მისი განხილვა.</p> <p>ამ დროისთვის წარმოდგენილია კვლევის შედეგები ორ პროგრამაზე (მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა და აწარმოე საქართველოში), შესაბამის პასუხისმგებელი უწყებების მიერ კომენტარების მიღების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში მოხდება აღნიშნული საკითხების საბჭოს ფარგლებში განხილვა.</p>



დანართი №1

საქართველოს ფისკალური წესების სიძლიერის ინდექსი

ქვეყანა	GEO	GEO	GEO	GEO
ტიპი	BBR	ER	DR	RR
სექტორი	GG	GG	GG	GG
მიზნები/შეზღუდვა	ბიუჯეტის ბალანსის % მშპ-სთან	გადასახდელების % მშპ-სთან	ვალის წესი, როგორც % მშპ-სთან	პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ზღვარი
აღწერა		მთავრობის მიერ განსაზღვრული მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ზღვრული მოცულობა: მშპ-ს 30%	სახელმწიფო ვალის მოცულობა არაუმეტეს მშპ-ს 60% 2015-16.	გადასახადების გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმით (გარდა აქციზისა)
ანგარიშგების სისტემა	GFSM 2001	GFSM 2001	GFSM 2001	GFSM 2001
ვადა (წელი)	A	A	A	A
საკანონმდებლო ბაზა	L	L	L	C
მონიტორინგის განმახორციელებელი უწყება	პარლამენტი	პარლამენტი	პარლამენტი	პარლამენტი
აღმასრულებელი უწყება	MF	MF	MF	MF
შეუსაბამო აქტივობები	შეუსაბამობის შემთხვევაში პარლამენტის უნდა წარედგინოს გეგმა	შეუსაბამობის შემთხვევაში პარლამენტის უნდა წარედგინოს გეგმა	შეუსაბამობის შემთხვევაში პარლამენტის უნდა წარედგინოს გეგმა	
გამონაკლისები	Y	Y	Y	Y
ძალაში შესვლის დრო	2014	2014	2014	2014
ვადის გასვლა				
დამატებითი ინფორმაცია				შესაძლებელია გადასახადის დროებით გაზრდა არაუმეტეს 3 წლიანი პერიოდით

მთავრობის დაფინანსების მოცვა	100.0%	90.0%	100.0%	89.0%
C1 - საკანონმდებლო ბაზა	3	3	3	4
C2 - დაზუსტების ზღვარი	2	2	2	2
C3a - მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო	1	1	1	1
C3b - სიფრთხილის მექანიზმი	0	0	0	0
C3c - აღმასრულებელი უწყება	2	2	2	2
C4a - შეუსაბამო აქტივობა	2	2	2	2
C4b - ძირითადი დებულებები	0	0	0	0
C5 - მედიის ჩართულობა	1	1	1	1
ძალაშია	Y	Y	Y	Y
ფისკალური წესის სიძლიერის ინდექსი	5.75	5.18	5.75	6.75

დანართი №2

ფისკალური წესები საქართველოში და ევროკავშირის ქვეყნებში

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	
AT	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	0.2192	0.2192	0.3693	0.3693	0.3693	0.3693	0.2428	0.2428	0.2428	0.1902	0.5267	0.5267	0.6259	0.8191	
BE	-0.48	-0.48	0.2446	0.493	0.493	0.6085	0.6085	0.6085	0.6085	0.3601	0.1144	0.1144	0.1144	0.1144	0.1144	0.1144	0.1144	0.1144	0.1144	0.1144	0.1144	0.1144	0.1144	0.1506
BG	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	0.8845	0.8845	0.9056	1.4828	1.4828	1.4828	1.4828	1.4854	1.9301	2.2335
CY	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007
CZ	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-0.481	-0.481	-0.481	-0.481	-1.007	-1.007	-0.379	0.2206	0.2206	0.2206	0.2206	-0.139	-0.139	-0.139	-0.139	-0.139
DE	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	0.5011	1.1106	0.8117	1.4216	1.4216	
DK	-1.007	-1.007	0.3707	0.3707	0.6363	0.6363	0.6363	0.6363	0.6363	0.6363	0.6363	1.5314	1.5314	1.5314	1.5314	1.5314	1.5314	1.6423	1.6423	1.6423	1.6423	1.4384	1.6438	
EE	-1.007	-1.007	-1.007	0.6924	0.6924	0.6924	0.6924	1.059	1.059	1.059	1.059	1.059	1.059	1.059	1.059	1.059	1.059	1.059	1.059	1.059	1.059	1.1983	1.1983	0.6707
EL	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	0.9765
ES	-0.298	-0.298	-0.298	-0.298	-0.298	-0.298	-0.298	-0.298	-0.298	-0.298	-0.298	-0.298	1.5047	1.7314	1.7314	1.7314	1.5545	1.5545	1.5545	1.5545	1.5545	2.5584	3.2642	
FI	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	0.3555	0.3555	0.3555	0.3555	0.9323	0.9323	0.9571	0.9571	0.9108	0.9108	0.9108	0.9108	1.0082	0.608	0.309	0.309	0.591	0.4081	
FR	-0.629	-0.629	-0.629	-0.629	-0.629	-0.629	-0.629	-0.416	0.0561	0.0561	0.0561	0.0561	0.0561	0.0561	0.0561	0.0561	0.5261	0.5261	0.6684	1.0446	0.8198	1.5503	1.5503	
HR	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	0.3872	0.3872	1.5616	1.5616
HU	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-0.768	-0.768	-0.768	-0.768	-0.768	-0.768	-0.768	-0.768	-0.768	-0.768	-0.768	-0.768	0.498	0.498	0.2319	0.2319	0.2319	1.0561
IE	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-0.977	-0.977	-0.977	-0.977	-0.80	-0.80	-0.80	-0.80	-0.80	-0.80	-0.80	-0.80	-0.80	-0.81
IT	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-0.487	-0.487	0.0839	0.0839	0.0839	0.0839	0.0839	0.0839	0.0839	0.0839	-0.144	-0.168	-0.223	-0.179	-0.168
LT	-0.651	-0.651	-0.651	-0.651	-0.651	-0.651	-0.651	0.3718	0.3718	0.3718	0.3718	0.3718	0.3718	0.3718	0.3718	0.3718	0.3711	0.3711	1.4081	1.4081	1.4081	1.4081	1.3376	
LU	-0.889	-0.889	-0.318	-0.318	-0.318	-0.529	-0.529	-0.529	-0.266	0.7861	0.7861	0.7861	0.7861	0.7861	1.7578	1.7578	1.7578	1.7578	1.7578	1.7578	1.7578	1.1702	1.1702	1.2125
LV	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739	0.0739
MT	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007
NL	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.1146	1.191

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	
PL	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	1.2052	1.2052	1.2052	1.2052	1.2052	1.2052	1.2052	1.2052	1.2052	2.1024	2.1024	1.2052	1.617	1.617	1.9728	1.935	
PT	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-0.276	-0.099	-0.099	-0.099	-0.099	-0.041	-0.041	-0.041	-0.041	-0.041	-0.041	0.1286
RO	-0.772	-0.772	-0.772	-0.772	-0.772	-0.772	-0.772	-0.772	-0.772	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623	-0.623
SE	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-1.007	-0.04	-0.04	-0.04	-0.04	2.1728	2.1728	2.1728	2.1728	2.1728	2.1728	2.1728	2.298	2.298	2.298	2.4637	2.4637	2.4637	
SI	-0.774	-0.774	-0.774	-0.774	-0.774	-0.774	-0.774	-0.774	-0.774	-0.774	0.4382	0.4382	0.4382	0.4382	0.4382	0.4382	0.4382	0.4382	0.4382	0.4382	0.4561	0.5723	-0.794	
